

ოქმი

ქ. ცაგერი

12 ნოემბერი 2020 წელი

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა.

სხდომას ხელმძღვანელობდა ცაგერის მუნიციპალიტეტის

მერი ა. უგრეხელიძე

მდივანი ი. თავაძე

ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: ნ. მიქაძე, ა. ფუტკარაძე, მ. ხუბუკელაშვილი, ც. მანდარია, თ. ბურჯალიანი და თ. კოპალიანი

სხდომას ესწრებოდნენ: მერის პირველი მოადგილე გიორგი მახათაძე, მერის მოადგილე მიხეილ მეშველიანი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი მამუკა ლეთოდიანი, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი რევაზ ახვლედიანი.

დღის წესრიგი:

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხსენებელი

ა. უგრეხელიძე

მუნიციპალიტეტის მერი

მოისმინეს: ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

ა. უგრეხელიძე

მუნიციპალიტეტის მერი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტის შედგენის საფუძველია კანონმდებლობით განსაზღვრული აღმასრულებელი ორგანოს ვალდებულება ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენისა. პროექტის არსია 2021 წელში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლების განსაზღვრა. 2021 წელს ბიუჯეტს ემსახურება საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიისა და ცაგერის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული მიზნების შესრულება. ბიუჯეტის პროექტი მომზადებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.



ბიუჯეტის პროექტზე და პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობა იწყება 1 მარტიდან, რისთვისაც გამოიცა მერის სამართლებრივი აქტი, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და დამტკიცდა საბიუჯეტო კალენდარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობები განსაზღვრულია 7223,6 ათ. ლარი. გადასახადების გეგმა განსაზღვრულია 6778,6 ათ. ლარი, მათ შორის: ქონების გადასახადი დაგეგმილია 400,0 ლარი, დღგ გადასახადი 6378,6 ათ. ლარი.

გრანტები განსაზღვრულია 155,0 ათ. ლარი, მათ შორის მიზნობრივი ტრანფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 155,0 ათ. ლარი.

სხვა შემოსავლები დაგეგმილია 250,0 ათ. ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან დაგეგმილია 40,0 ათ. ლარი.

პრიორიტეტების მიხედვით გადასახდელები განსაზღვრულია 7223,6 ათ. ლარი, მათ შორის:

1. საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 2625,4 ათ. ლარი;
2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 1045,1 ათ. ლარი;
3. გარემოს დაცვა და დასუფთავება 452,8 ათ. ლარი;
4. განათლება 1085 ათ. ლარი;
5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 1516 ათ. ლარი;
6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 499,3 ათ. ლარი.

თქვენთან სამოქალაქო საბჭოზე წარმოდგენილი ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად არსებული წესის შესაბამისად არაუგვიანეს მ/წლის 15 ნოემბრისა წარედგინება საკრებულოს.

აზრი გამოთქვს: ნ. მიქაძემ, ც. მანდარიამ, თ. ბურჯალიანმა, თ. კოპალიანმა, გ. მახათაძემ, მ. მეშველიანმა, რ. ახვლედიანმა, მ. ლეთოდიანმა, ა. უგრეხელიძემ

დაადგინეს:

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ მიღებულ იქნას ცნობად;

ეთხოვოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს ბიუჯეტის პროექტის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებს და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

სხდომის თავმჯდომარე:

ა. უგრეხელიძე

სხდომის მდივანი:

ი. თავაძე